KA021713501826522

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

# ბრძანება

**N1/1-4049** 19 / ივლისი / 2022 წ.

**ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N3); ქალაქ ქუთაისში, ლ. ასათიანის, N96-ში, (ნაკვეთი N4-1); ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N4-2) არსებული 72836 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4, N5 (ნანგრევი), N6, N7, N8, N9 (ნანგრევი), N10 (ნანგრევი) და N11 (საკვამური მილი) შენობა-ნაგებობების და ქ. ქუთაისში, ლ. ასათიანის ქ. N96-ში მდებარე 1299 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 (მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის და „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ებ:**

**1**. ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N3); ქალაქ ქუთაისში, ლ. ასათიანის, N96-ში, (ნაკვეთი N4-1); ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N4-2) არსებული 72836 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4, N5 (ნანგრევი), N6, N7, N8, N9 (ნანგრევი), N10 (ნანგრევი) და N11 (საკვამური მილი) შენობა-ნაგებობების (ს/კ 03.04.32.761) და ქ. ქუთაისში, ლ. ასათიანის ქ. N96-ში მდებარე 1299 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 (მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობის (ს/კ 03.04.33.065) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 10 055 000 ლარის ოდენობით.

**2**. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 1 005 500 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5000 ლარით.

**3.** ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 2 (ორი) თვის ვადაში;

**4**. ამ ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, 03.04.32.761 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების  საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, 2023 წლის 1 მაისიდან არაუმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში, 03.04.32.761 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მრავალფუნქციური კომპლექსის (რომელიც შესაძლოა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) კომერციული დანიშნულების ფართ(ებ)ს ან/და სასტუმროს) შექმნა (რაც შეიძლება მოიცავდეს უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს) და შესაბამისი შენობა-ნაგებობების კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება.
**5**. ამ ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, 03.04.33.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების  საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადაში ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ 03.04.33.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობის (თავშესაფრის) ფუნქციონირებისათვის მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით.
**6**. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, 03.04.33.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების დამატებით სახელშეკრულებო (არასაპრივატიზებო) პირობად განისაზღვროს:
ა) პირადად ან მესამე პირების მეშვეობით, ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობისათვის (თავშესაფრისათვის) ფუნქციის მუდმივად (სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობის არსებობის ვადით) შენარჩუნება.
ბ) საჭიროების შემთხვევაში,  ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვის ნაგებობით სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.
**7.** დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.
**8**. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.
**9.** წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს 2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე